



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით და კონსტანტინე

დავით და კონსტანტინე, არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავრები VIII ს. I ნახევარში (მხეიძეთა ფეოლ. გვარიდან). გმირულად იბრძოდნენ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის, მურვან ყრუს წინააღმდეგ.

არგვეთის ბრძოლის დროს არაბებმა შეიპყრეს ისინი და მონამებრივი სიკვდილით დასაჯეს. ქართველებმა მათი გვამები დაკრძალეს მდ. წყალწითელას ნაპირას, სადაც ახლა მონამეთის მონასტერია (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ქართ. ეკლესიამ დ. და კ. წმინდანებად შერაცხა და დიდმონაშენი უწოდა.

მათი ხსენების დღეა 2 (15) ოქტომბერი.

იხ. აგრეთვე „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“.

ო. სოსელია
